

F 75
1914

რედაქცია

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საბავშვო



საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1914 სექტემბერი. № 17



საქართველოს
საზოგადოებრივი
მუშაობების
საქართველოს
საზოგადოებრივი
მუშაობების

გეორგიანული 80-8.

№ 17.


საქართველო, 1914 წ.

F240



მ ი ნ ა ა რ ს ი:

I—სურ.	1
II—„ნაკადულის“ მკითხველები	3
III—პებელი, —ფექსი ი. გრიშაშვილის.	4
IV—ნაცარა, —(დასასრული) შატაძის	5
V—ყვავი და კაკაქი, —სანდრა შანშაშვილის.	14
VI—ბედს უჩიოდნენ, —შ. გარიუფის	15
VII—ნოტები: „მახეში გაბმული ჩიტი“ —სასიმღეროდ და საოამაშოდ შედგენილი, ვასილ ს. თამარაშვი- ლის-მიერ.	20
VIII—გასართობი: რებუსი და აღსნა.	24





პირველი რაგა მარცხნიდან: 1) მიხეილ კვინიხიძე, — ქუთაისი. 2) სევერიან მოისწრაფეშვილი, — სოფ. ჩოჩხათი. 3) ოთარ ჭუმბურიძე, — ჩახარი.

მეორე რაგა მარცხნიდან: 1) ზის ნინო ოცხელი, — მოსკოვი. 2 და 3) მარგარიტა და ლიზიკო ჭავთარაძეები, — თბილისი. 4) ნატალია ოცხელი, — მოსკოვი.



პეპელა.

(ვეზღენი გია მესხიშვილს).



დიდებული დილა იყო,
სანეტარო, უწყინარი;
მხოლოდ ისე, კანტი-კუნტად
ნაზარდობდა კრილი ქარი.

ნაზარდობდა გიაც ტუეში,
ნაზარდობდა ზთასფერად;
ჰა! — ჰეჰელას მოჰკრა თვალი,
გამოუდგა დასაჭერად.

დაიჭირა! ზ სთქვა: — ჰსედაჰ —
კრილა, ქარიც ნაზარდობსო,
აქ შეგცევა, წამო სახლში, —
ბუსრის ცაცხლი გაგათბობსო!

წამოანთო გიამ ცეცხლი,
იფუქუესა, ეფუქუესა, —
ცეცხლს ჰეჰელა მიუშვირა...
და ჰეჰელა... შეიტრუსა!

ი. გრიშაშვილი.



ნ ა ც ა რ ა .

(დასასრული).



ერთს ნს ვეგდე ისე ცოცხალ-მკვდარი; მერ-
მე ნელ-ნელა გამიფხიზლდი, მივიხედ-
მოვიხედე, იქით ვეცი, აქით ვეცი — ვეფლგან
კედელი იყო. მიფარტევი უკანა ფეხები — მა-
გარი გამოდგა; დაუწვე სურა — ვერაფერი და-
ვაკელი. დაფლონდი:

— ნუ თუ ასე გულ-სელ-დაკრეფილი ენ-
და უცადო სიკვდილს — მექი, ვეიქრობდი.

მეტად დაღლილი ვიყავი; დაუწვე, მაგ-
რამ იმ წამსვე წამოვსტი.

— სლა გადაფრჩი, გადაფრჩი! — - აღტა-
ცებით ვეიქრობდი და მიკვირდა, რომ ამ-

დენ ხანს ვერ მოვიფიქრე. დამავიწყდა დაღაღუბც, ტკივილე-
ბიც; დამავიწყდა რომ ორჯერ დამიჭირეს იმ დღეს; მასწოვდა
მხოლოდ, რომ ძალე თავისუფალი ვიქნებოდი, მოვმოვრდებო-
დი სახისღარ ორფეხებს და ს კვდილს გადაფრჩებოდი.

დავაუერე: სრული სიჩუმე იყო; ფრთხილად შეუდექი მე-
მაობას. ერთი კედლის შირში დაფიწვე თხრილის კეთება. დი-
დხანს ვთხარე. გული მიკანკალებდა, ფეხები მისუტდებოდა
და მტკიოდა. დავიქანცე. აჰა, გათავდა როგორც იყო. მოვემ-
ხადე ამოსასტომად, რომ უცებ ეფუა მომესმა. თავხარ-დაცე-
მული გავიშლართე სვრულში და სული გაფანაბე. ეფუა თან-
და-თან უფრო შორს იშმოდა და ბოლოს სრულიად შეწყდა.
მაინც დიდხანს ვერ გაგებდე ამოსვლა, მაგრამ იქ დარჩენაც
სამიძი იყო. ჩუმი ამოფცოცდი და ნელი სტუნვით გავედამ

გზას. მალე მემინოდა—მალეს სუნი არ ზელო, ^{გარეშე} ^{მინოდა} ერთ ამბავს ასტყვდა: თითონაც გამოძიდებოდა და ეველასაც გააღვიძებდა. ასე შიშით ჩავიარე სიფელი. მინდორში რომ გავედი, ბე-კი მოკეურცხლე, რაც ძალი და ღონე მქონდა. ტყეში რომ შევედი, თავისუფლად ამოვისრინე.

— იქ ზღარ გემინოდა?

— არა, მხოლოდ ძალიან დაღლილი ვიყავი. მშიდა და ფეხები მეწოდა, მაგრამ ეს არ მაწუხებდა. ისე განხარბული ვიყავი, რომ კოტრიბალიც-კი ვსცადე, მაგრამ ვერ შევიძელე, ჩაფწყვი ბალახებში და კარგად გამოუქსი.

— ფეხები რომ გტკიოდა?

— ფეხები გავილოკე. მერმეც სშირად ვილოკავდი და თითქმის მომიჩნა. ახლა ზღარ მტკივა.

ნაცარამ ეურები აიწია, კაიბერტკა და მწუხარედ სთქვა:

— ეჰ, რამდენი მტერი გვეოლია. და შე-კი ეველა ჩემი მეგობარი მეგონა. რას ვიფიქრებდი, რომ ორფეხები ასეთი იქნებოდნენ...

— შენ ჯერ ბევრი რამ არ იცი, ჩემო კარგო. შე-კი ძილშიაც არ მაფიქრებს სიფრთხილზე: შიშით თვალებსაც ვერ ვხუჭავ—ისე მძინავს.

— თვალ-დაჭეტილი?—გაიკვირა ნაცარამ: — ეჰ, რა ძნელი უოფილა შენთვის ცხოვრება! შე ასე ვერ ვიცოცხლებდი.

— იცოცხლებდი. ხომ ძნელია ჩემი ცხოვრება, ხომ ბევრი მტერი მეაფს და შიშით თითქმის ვერ ვისვენებ, მაგრამ შენსაც მაინც ჩემი ცხოვრება მირჩევია. შენ იმტომ გაძინებს ჩემი ცხოვრება, რომ არ იცნობ. წამოდი ჩემთან ტყეში. რომ იცოდე—რა კარგია იქ. საცაა მთვარე ამოვა. შენ არ გინახავს ჩვენი თამაში. მთვარე ანათებს; ირგვლივ სიჩუმეა; ტრიბალ მინდორში ვსტუნობთ, კოტრიბლობთ.

— რომ მოგეპაროთ ვინმე?

— ნუ გეძინია: მტერი ერთ წუთსაც არ გვაფიქედება. მღვდელისა და გავიუ ნტებით. აბა, ჩქარა, ჩქარა: აქ ისედაც დიდი ხანია ვართ; მეტი დარჩენა საშიშია. წამოდი: ჩემ შვილებთან ითამაშებ. მთვარის სინათლე არ გიუფარს?

— არ ვიცი; ჩემ სახლში მუდამ ბნელა და მე არ ვხე-
ნაობ შიგ; ერთ კუნჭულს მივეკვრები და ვიძინებ. დღისით
ვხეუნაობ, მაგრამ ბევრს არა. დღისითაც ხშირად ვიძინებ
ბნელ კუნჭულში, მაგრამ არ მასვენებენ: მაშინათვე დამიწყებენ
ძებნას; მხახვან და გულში ჩამიხუტებენ.

— დღისით მეც მძინავს; მაგრამ დამე ძილი როგორ
შეიძლება? სიცოცხლე დამე.

კურდღელმა თათი დაისველა, სახე მოიბანა, ეურებზედაც
ჩამოისვა და წამოდგა:

— მაშ, მოდიხარ, თუ არა?

ნაცარი დაფიქრდა. მას შეუუფარდა ეს მძიმარა და მასთან
უშიშარი მოძე—კურდღელი, ასეთი ჭკვიანი და გამოცდილი.
ენანებოდა მისი გაშვება, უნდოდა თან გაეყოლა და ბუდამ
მასთან ეცხოვრა, მაგრამ აძინებდა მისი მოუხვეწარი ცხოვრება.

— წამოვიდე?—სმა-მაღლა ფიქრობდა ნაცარი:—მთვარე
არც-კი მინახავს... მთვარის ბუქსე თამაში, ტოლებთან ერთად
ხტუნაობა, კოტრიალი, როცა გინდა და სადაც გინდა წას-
ვლა-წამოსვლა... ეჭ, კარგია!

— მაშ ნელარ იგვიანებ. წაგიდეთ ჩქარა, სადაცაა...

— ნაცარი, ნაცარი!.. გაიხმა ბოსტანში ძახილი.

გასაქცევად მომხადებული ნაცარი შეკრთა, ეურები სურ-
კზე გადაიწყო და მუცლით მიწას მიეკრა. დღი კურდღელი-
კი შეხტა, მძლავრად გაიქნია უკანა ფეხები, მოსწლტა ად-
გილს და თვალის დახამხამების უმაღლ გაჭქრა. ნაცარამ შე-
რით გააუოლა თვალები და უძრავად დარჩა.

ამ მდგომარეობაში ნახეს ის ბავშვებმა და სისარულით

წაიყვანეს შინ. გზა-და-გზა ერთმანეთს სელიდან სტაცდებოდნენ, ეალერსებოდნენ, კოცნიდნენ და ტკბილად უსაუკუდურებდნენ:



— აი, შე სულელო, სად მიდიოდი? გაპარეა გინდოდა? მერმე სომ შიმშილით მოკვდებოდი, შე საბრალო! სომ შეგ-ჭამდა რამე. ჩვენთან არ გირჩევნია? თბილ რძეს განსმევთ; შენ ჰატარა სახლში ჩაგაწვეს.

ნაცარი დაღონებული უდებდა ყურს. ბავშვების ტკბილი სიტყვები მას ასლა შწარედ ეჩვენებოდა. უნდოდა ეთქვა, რომ სული ეჩუთება თავის ჰატარა სახლში, რომ იქ ეოფნას ბევრად უფრო ურჩევნია ბოსტანი, ტყე და ველი, რომ მათთან ცხოვრებას ტალღებთან ეოფნა სჯობია, რომ ოხრასუმი თბილ რძეზე უფრო ტკბილია. კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ როგორ ეტყოდა?

ბავშვებს არ ესმოდათ ნაცარას წუხილი. ის ასლაც ისე ჩემად იყო, როგორც ეოველთვის. მათ ეკონათ, რომ ნაცარასაც უხაროდა, რომ ბავშვებმა მოძებნეს და ღამე ბოსტანში არ დატოვეს, და ალერსით განაგრძობდნენ:

— საწყალი, რომ არ გეუნახა, სომ გული გაუსკდებოდა შიშით: ღამე მარტო ბოსტანში; ჰატარა ბიჭიან-კი არა— ჩვენც შეგვემინდებოდა. დაიცა ცოტა, გაისრდები და მერმე ჩვენ თითონ გავგიშვებთ ტყეში. მაშინ ირბინე, რამდენიც გინდა. ჩვენ სომ შენთვის სიკეთე გვსურს, შენზე ვსრუნავთ.

მოუახლოვდნენ სახლს. მთელი ოჯახი-დიდი ლამაზი გა-



ნათებულ აივანსე გაწეობილ სუფრის გარშემო იჯდა დიდუბის
შხამს შეეძევოდა.

— იზოვეთ? — ერთხმად მიამახეს კიბეზე ამომავალ ბავშვებს.

— ხად იუო?

— ბოსტანში ჩაწოლილიყო და გვიცდიდა.

— ალბად გზა დაებნა, — უპასუხა ერთმა.

— საწყალი, ისე შეშინებული იუო! — სთქვა მეორემ.

— აბა ახლა კარგად მოუბრეთ, — უთხრა დედამ, — აღარ
გაგეპზართ, თორემ დაიკარგება, ცოდება, ზატარა: ჯერ თა-
ვის რჩენა არ შეუძლია. ბავშვებს ნაცარა ჩამოართვა და სუ-
რგზე სელი გადაუსვა:

— ხად მიიპარებოდი, შე სულელი, ტყეში? წაგატანს
ზირს შელია და შეგჭამს; ერთ ლუკმადაც არ ეეოფი!

დაღონებული ნაცარა-კი ამ დროს ფიქრობდა დიდ კურდ-
ღელზე და მის ნაამბობზე.

II

— დედა, ნაცარამ რბე არ დალია.

— არ უნდა ალბად, შეილო; თავის სახლში შეუშვი: მი-
ლი ენდობება.

ნაცარას იამა კიდევ სახლში შესვლა: აქ მარტო იუო ჭ
სელიდან სელში აღარ გადადიოდა. მას უნდოდა მარტო ეო-
ფნა და ფიქრი. საფიქრებელი-კი ბევრი ჰქონდა.

— როგორ გაგიტყვი; რა მოვარსკრო? მიწა რომ იუოს —
ამოვთხრი, მაგრამ ჩემ სახლს ძირიც ისეთივე მაგარი აქვს,
როგორც კედლები. სინჯა ფეხებით სვრელის გაკეობა, მა-
გრამ ვერას გახდა. კარიც მაგრად იუო დაკეტილი. გულ-ჯაფ-
რინი ნაცარა ისევ ერთ კუნჭულს მიეკრა და იჯდა ისე, სა-
ნამ არ ჩასთვლიდა.

დაწოლის ხანს ბავშვები სულ ნაცარასე ლაპარაკობდნენ



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
გამომცემი

— რა დავებართა ნაცარას, სულ მოწყენილია, აღარ სტყუებს. დღეს იმდენი ვუძებ; თურმე განჯინის ქვეშ შემოვრდელიყო, — ამბობდა და.

— მეც წყლან სელში ავიუვანე ჯ კამეცა, — სთქვა მამამ: — არაფერს სჭამს დღეს.

— ხეაღ დილით საბაღასოდ წავიუვანათ. ახლა იმდენი ბაღასი შეუვარე სახლში, — იქნება ჭამოს, — სთქვა ისევ დამ.

— დედა, არც დღეს დალია ნაცარამ რძე. მალე ჩავა-
უოფინე თაგი; ცოტათი გააცმაცუნა ტუჩები და ისევ დაანება.

— იქნება რძე არ უნდა; ბაღასი მოუტანე.

ბაღასიც ცოტა ჭამა იმ დღეს ნაცარამ. მთელი დღე გაუ-
რობდა ეგელას; სად არ სცადა დამხლება, მაგრამ ბავშვებმა ეგელ-
კან იპოვეს.

— ნაცარა აყადაბა. კარგად გაუფრთხილდით: არსად წავი-
დეს და არ მოკვდეს, — ეუბნებოდნენ ბავშვებს, მაგრამ იმათ გა-
სწენება არ სჭიროდათ. თითონაც შეწუხებული იუვნენ და თი-
თქმის არ უძებნდნენ სელიდან.

— იქნება სტკივა რაზე? აბა გაუშვი, გაიაროს, — უთხრა
დამ მამს. ზატარა ბიჭმა ერთი აკოცა და ფრთხილად ჩამოაყა
ძირს. ნაცარა კუთხისკენ გაექანა.

— არა, ფეხები არა სტკივა! — დამ ისევ დაიჭირა ნაცარა
და თვალთრება დაუწყო.

— მე ვიცი, რა სტკივა! — წამოიძახა უცებ მამ და გამა-
რჯევრული სახით კისერზე აჩვენა: — აჭა, უუუუ.

ბავშვები გაიქცნენ აივნისე, სადაც დიდები ისხდნენ და
ლაპარაკობდნენ,

— მე ვიცი, რა სტკივა ნაცარას, — იძახოდა ბიჭი.

— ამ მწერმა უკბინა. ერთი აქ აქვს კიდეც, — ამბობდა და.
მამამ დასედა:

— არა, ეს ტკიპა; ამის ბრალი არაა. ტკიპა ეგელა



ცხოველს ჰკბენს; ჩვენ შურიანსაც ბევრი ევოლება, თუ გავაზო-
 ჟავთ, ტუეში მცხოვრებ კურდღელსაც; მაგრამ ამით ის ავად
 არ ხდება.

— აბა, რა სტკივა?

— რა სტკივა და მუცელი, — სთქვა უფროსმა დამ.

— მუცელი? აბა ბაღასმა აწეინა, ნუღარ აჭმევთ, — სთქვა
 დეიდა.

— ბაღასმა-კი არა! — სთქვა ბიძამ: — კურდღელი სულ ბა-
 ლასს ჭამს. რმეს ნუ ასმევთ; მაგოდენა კურდღელს რმეს ვინ
 ასმევს.

— აბა რა ვაჭამოთ: არც ბაღასი, არც რმე; ხომ იმ-
 შილით მოკვდება, — ატირებული სმით წამოიმძახა ნატარა
 გოგომ.

— დახეხეთ თავი: თავისით მორჩება, — ურჩია ისევ
 ბიძამ.

ნაცარა მირს ჩამოუშვეს. დასუსტებული, ჩელი სტუნვით
 მივიდა კუთხეში და ჩაცუცქდა.

ბავშვებიც უკან დაედევენ.

— შეხედე, ხელს მილოკავს. რა ცხელი ენა აქვს და მძრა-
 ლი; ავად რომ არის — იმიტომ, არა? — იკითხა ნატარა ბიძამ.

— არა, ეს წინათაც ასე აცოდა, — უნახუხა დამ. — აწვა-
 ლი, მოკვდება; რა უფოთ. ექიმი იქოს ჩუტა ამ სოფელში.

ნაცარა თან-და-თან სუსტდებოდა. მუცელში საძინელ ტუი-
 ვილებს გრძნობდა. ვინც მივ დოდა, ეკლას სკლას უღოკავდა.
 თითქოს სთხოვდა — მიშველეთო. მეორე დღეს კიდევ უფრო და-
 სუსტდა; თითონაც შეეცადა ჭამას, მაგრამ ვერ შესძლო. ასე
 ბავშვები მინჯდნენ, რომ ნაცარა დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა
 და თითქმის აღარ მორდებოდნენ.

— ეჰ, ლოგასაც აღარ გვილოკავს, — ამბობდნენ გულ-და-
 შეუვტილი ბავშვები.

— დედა, მოდი დახედე: ნაცარას სცივა, — ეწეოდნენ მზეს
შეები დედას კალთაზე. დედა გაჭედა.

— ეჰ, კვდება საწვალღი, — სთქვა მან. — მოდი ზეთი დაფა-
ლევინოთ; იქნება უშველოს.

საჩქაროდ მოიტანეს ზეთი და მაინც ჩაუსხეს რამოდენ-
ნიმე წვეთი, თუმცა ნაცარი უძალიანდებოდა.

— ახლა მორჩება?

— რა ვიცა; ვნახოთ; ახლა დააწვინეთ, — მოისვენოს.

ბავშვებმა რბილი ლოგინი მოუშადეს და თავის სახლში
დააწვინეს; მერმე თითონაც დასაძინებლად წავიდნენ. ლოგინ-
ში დიდხანს ისხდნენ და ნაცარასე ლაპარაკობდნენ.

— ნეტავი მორჩეს; ისე კარგად მოუვლი, ისე, რომ
სულ აღარ გაუშვებ მარტო არსად. რაც ბოსტანში წავიდა,
მას მერმეა ავად, — ამბობდა და.

— წავალ, ვნახავ: ხომ არ მოკვდა, — სთქვა პატარა ბი-
ჭმა, უხვარეუთი მივიდა ნაცარას სახლთან, ჩაიხედა და და-
ბრუნდა:

— არა-ცოცხალია. ნაცარა, ნაცარა შეთქი, — დაუძახე და
შემომხედა. თვალები დაჭკეტილი აქვს.

თავის ბნელ სახლში, რბილ საგებზე, თბილ საბანს ქვეშ
ნაცარა ძაგბეგებდა. ხან დაწინარდებოდა, ცოტას თავისუფლად
ამოიხუნთქავდა, და ხან ისევ აძაგბეგებდა. ასე უსიტვეოდ,
ჩუმად კვდებოდა ნაცარა. ტეეში-კი ამ დროს მთვარის ბუქსე
მისი უცნობი ძმები, მისი დედის შვილები მინდორში თამა-
შობდნენ, ხტუნავდნენ, კოტრიალებდნენ. მათ არ ახსოვდათ
ნაცარა, როგორც ნაცარას არ ახსოვდა ისინი.

დილით ბავშვებმა, როგორც ეოველთვით, ადრე გაიღვიძეს.
ნაცარას სახლს ეცნენ, კარს გახელეს და გაციებული, თვალები-
დაჭკეტილი ნაცარას გეგში დაუსვდათ.

აქვე სახლის გვერდით ჩამოსხდნენ და ტირილი დაიწყეს.

— სად არიან ბავშვები, — გაჭკვირდა დედა, როცა ოთახში ბავშვები არ დაუსვდა: — ტანსუც არ ჩაუცვამთ.

— კურდღელს მარსავენ, — უპასუხა უფროსმა დამ: — ევლზე წითელი ლენტო მოაბეს ჭ ნაჭრებში შეასვies. — დიდი ხანია, რაც წავიდნენ.

დედა აივანზე გავიდა. ამ დროს ბავშვებიც მოვიდნენ და მოწვენილნი კიბეზე ჩამოსხდნენ.

— სად დამარხეთ? — ჰკითხა დედამ და გვერდით მოუჯდა.

— ეზოში, ვარდის ბუჩქთან. ვანომ ამოთხარა საფლავი. — შიკ ნაჭრები ჩაუფინეთ: წვიმა არ ჩაუვიდეს.

— საწყალი ნაცარა, — სთქვა დედამ. — რომ არ დაეჭირათ, ასლა იქნება ცოცხალი ეოფილიყო.

— დედა, რამდენ ხანს შეუძლია იცხოვროს კურდღელმა? — ჰკითხა უფროსმა.

— განამდვილებით არავენ იცის, შეილო, მაგრამ რეა წელიწადს შეუძლია იცხოვროს.

— იმდენი, რამდენიც მე! ჰმ, ნაცარასაც შეეძლო ამდენ-
ხანს ეცოცხლა?

— შეეძლო, — სთქვა დედამ. ბავშვები ჩანუძნენ.

სალამოს ნაცარას კანკალი დააწეებინა.

— აბა, რატომ მოკვდა? — იკითხა უმცროსმა.

— დატყვევებული კურდღელი უფრო ნაკლებს ცოცხლობს. დღეს რომ არ მომკვდარიყო, დიდხანს მაინც ვერ გასძლებდა: ვერ ჯიჟვავ ჩვენ ცხოვრებას.

— ეჰ, ნეტა არ გვეიდა, — სთქვა უფროსმა: — სულ ვანოს ბრალია, რომ დაეჭირა. მე, დედა, არასოდეს არ დაუიჭერ კურდღელს.

— არც მე, — დაუმატა პატარამ.



ყვავი და კაკაჭი.

ყვავს სადღაც კაკალი ეპოვნა;
ეორეზე მიეტანა, სცდილობ-
და გაეტეხნა, მაგრამ ვერ მოე-
ხერხებინა.

მიუვინდა კაკაჭი და უთხრა:

— დობილო, რას ეწვადლები: აფრინდი მღელა, აიტა თან
კაკალი, იქიდან ჩამოაგდე ქვესე და კაკალი თუითონ გატე-
დებო.

ყვავს რევა მოეწონა. აფრინდა მღელა და კაკალი ჩამო-
აგდო.

გატედა კაკალი და მისი ლუბანი თეთრად გადმოიშალა.
დაბულო კაკაჭაშმა ნისკარტი და გადაუღაზა; თან ყვავს
შესძახა:

— აბა, დობილო, რასე ეწვადლებოდი: კაკალი ჭიანი
ყოფილაო.

სანდრო შანშიაშვილი.





გელს უჩიოდნენ.



—შ—შ—შ!—ღვიწვი! ვაი ჩემს გახე-
ნას, ვაი ჩემს გატყდვის დღეს! რა ღაუ-
მავე ან ღმერთს, ან კაცს: რაკი დად-
გება ეს დასაქცევი გაზაფხული, მოსვე-
ნება აღარა აქვს უბედურ ჩემ გულ-მუ-
ცელს: ვიწვი და ვიბუკვი დაუსვენებ-
ლად; მხოლოდ სამთარში თუ ამოვი-

სუნთქავ ცოტა-ხნით თავისუფლად, მიმაგდებენ სადმე კუთხეში,
თითქოს გამოუსადეგარ ნივთს, და შედაც აღარ შემომხედავენ.

არ იქნება კაცს გული არ გატკინოს ასეთ უუურადღებო-
ბისთვის: თუ-კი მთელ საფრუელს ხელიდან-ხელში მატრიალე-
ბენ, სამთარშიაც დამხედონ ერთი: მიკითხონ, როგორ ვარ,
როგორ ვცხოვრობ. მაგრამ უუურადღებობა მირჩევნია ასეთ
დაუქრობელ გეზას, რა დღემიაც ახლა ვარ...— ბუტბუტებდა
განუწევეტილ ცეცხლიდან ახლად გადმოვდებული მურაბის ტა-
ბტი, რომელიც სავსე იყო წითელი ალუბლით.

— უჰ, უჰ, უჰ, შენი ჩვილი და ღარდი რა არის ჩემ-
თან შედარებით, ჩემო დედობილო! ერთი ჩემი ცეცხლიც იკი-
თხე. გამოვიკვირტე. ჯერ კიდევ სუსსი სცემდა ქვეყანას. მერე
საამურად დამანათა გულ-უხემა მზემ. თვალ-წარბტაცად გადა-



ვაძალე: სითუორით თუორ ღრუბელს ვჭარბობდი. სურნეფუნა ზემი ეფინებოდა მთელ არე-მანეს. მტერსაც-კი დაენანებოდა ზემი ერთი კულულის მოწვევება. მერე გული გამიხნდა; თუორი კაბა მწვანეზე შევცვალე; რაღაც მარცვლე ად გადავიქციე; ნელ-ნელა ვიხარდე; თან და თან დავსრულდი. გაესუქდი. შემდეგ ფერი გამომეცვალა: წითლად აუფერადდი, თან-და-თან სულ გავწითლდი, დავრბილდი. ხან ერთი ცუკროშკელა გოგო მოირბენდა ზემ ძირში, ხან მეორე.

— ალუბალი შემოვიდა, ალუბალი დამწიოდა! — ტიკტიკებდნენ. თურმე დამწიოვებას ეძახიან ასეთ ასაკში მოსვლას.

ლახანდარა ჩიტები მთელი დღე თავს დამტრიალებდნენ. იმათაც-კი ვენანებოდნენ და ნებას არ აძლევდნენ თავიანთ ნის კარტებს — შემსებოდნენ და გავფუჭებინე. დიდხანს არ დასცალდეს სიცოცხლე შენ მტერს, დიდხანს შე არ მამოგინეს იმ ედემივით მორთულ ბაღში.

ერთ დილაზე მოვიდა დიანასლისი, მანდილ-ჩამოფარებული, კოსტა ქოშებით და მოუძღვა წინ ერთ კინტოს. ოთხი ჰატარა წინსაფარიანი ბიჭი მოსდევდა კალათებით.

— აი, ეს ალუბალია დასაერეფი! — უთხრა დიანასლისმა. მაშინ მივიხედე გვერდზე და დავინახე, რომ სულ ზემი მეკვარეებით იყო გადაწითლებული იქაურობა. ერთი ორი სიტყვა კიდევ უთხრა დიანასლისმა კინტოს და წავიდა.

თქვენ მტერს — იმ წუთიდან შე დღეში ჩავვარდი: შემსივნენ ეს ჰატარა ბიჭები — გამისვეს და გამომისვეს: ერთ საათში თავ-ტანიანად მოგვაშორეს იქაურობას და კალათებში გვიკრეს თავი, გაგვაწვეს, გაგვაკოწიეს; ბაღის ეზვილებით დაგვიმშვენეს თავი და გაგვიქნეს გზას.

ესი კალათებისთანა კალათები მრავალის-უმრავლესი იყო. შეკვარეს სადღაც დიდ ოთახში და გაგვაქანეს. მივქროდით

და მიჰქროდით მთელ დღეს; მერე სადღაც მიძიევნენ; იმდენს
 მეს დამსვენეს; მერე დილით დამიდგეს თავსე და მატარეს
 მთელი ქალაქი. ჰატარა ბიჭი სრინწიანის სმით კვიროდა:
 ალუბალი, იაფად ალუბალიო!

ბევრი და-ძმა მომაშორეს და დაურიგეს ვიღაცეებს. სალა-
 მოზე ამ დიანახლისთან მოვადწიე და მერე, როგორც იცა,
 დამაერეს რაღაც ფეხნილი და მომხარმეს. იჲ, იჲ, როგორ
 მოესტკნა და დავიწყდი! — გაბათვა ალუბალმა ჩივილი და და-
 ჩუმა.

— იჲ, გეთაქვა: შენი თავ-გადანახალი როგორ შეედრება
 ჩემსას? — გადმოსძახა მალულ თაროსე წამოჭიმულმა კაკლის
 მურაბამ, რომელიც თეთრი მინის ქილიდან მავ-მავი თვალე-
 ბით გამოიეურობოდა...

— ეს ვინ არის? — იკითხა ალუბალმა.

— მე განსაჯართ, ჩემი აღმატებულება — კაკალი.

— აღმატებულება რაღა?

— ის განსაჯართ, ჩემო ქალბატონო, რომ ეველაზე უფრო
 მე ვარ მოწონებული. საბატო სტუმრებისთვის თუ დამხარ-
 ჯავენ, თორემ ისე წარა-მარა არ მომხდინა თავს, როგორც
 შენ. შენ უოველ საღამოს მიგარბენ: ნებენ ცხელ ჩაისთან და
 მე-კი ასე ადვილად ვერ დამძრავენ ადგილიდან.

— რა შეტინარა ვინმე უოფილა, დედობილო, — უთხრა
 ტამტს ალუბალმა.

— მატრაკეცაა, მაგრამ მაინც ათქმევინე მისი თავ-გადა-
 საჯალი.

— არ შეიძლება გვიამბო შენი თავგადანახალი?

— რატომაც არა. მხოლოდ მე ბევრი ლაზარაკი არ მი-
 ევარს. როცა ჩემი ევაფილიდან თავი გამოვებო, ერთი საძიო-
 დე კვირა-კი დაურჩი დედა ძირსე, მერე დამკრიფეს, გამოთაღეს



თარგმანი
ქართული
ლიტერატურის
მუზეუმი

და მწამეს: აიღეს ჩანგალი და სულ დამიჩხვლიტეს მთელი ტანი: მტანჯეს, მაგრამ იცოცხლე: სამაგიერო მეც გადაუსადე. ჩვენ დიასახლისის ისე გაუხადე სკლები, კაცს არ ეჩახებოდა.

მერე შემაკურეს წყალში. მთელი კვირა დილა-საღამოს ციუ წყალს მასხამდნენ, მახანაგებდნენ. მერვე დღესე იმ უღუ-თოებმა დამეუარეს კირი; დღე და ღამე დაგუჯე კირიან წყალში. არც იქ მომასვენეს: ორიოდე დღე კიდევ წყალი მიცვალეს და მასამაშეს. შემდეგ მეც ემაგ ტაშტის გულზე მომაქციეს და თაფლიან წყალში მადუღეს, მატარი დამეუარეს, მომხარშეს და ამ ქილაში ჩამომამბანეს.

ერთი თინიკო ჭეჭეს დიასახლისის: ნამდვილი მუსესია მურაბების, მაგრამ მე ვერ მიბედავს თავის მოსნას. ირაკლიკი, — ღმერთმა დაიფაროს: უტეხია უტეხი. ასჯერ რომ გაუჯაგრდეს დედა მისი, — მე არ დანაქნებელო, რატომ არ მიუენებ მურაბებსა? — წარბსაც არ იხრის და ისევ განაგრძობს ქურდობას.

ბარე ორჯერ მეც მოვანანიე იმას ცოდუები: გაჟქანდი და ზირდაზირ კბილში ჩაუძვერი; აუტკივე კბილი და დიდ ხანს ვაღრიალე.

— უჰ, უჰ, უჰ! რა ტრაბახობაა. ბევრი ლაპარაკი გიუვარს, მესობელო, — გამოიხმაურა გვერდით ზატარა ქილა.

— შენ ვინა ბრძანდები, ეურმნის ჭაჭასავით რომ ჩამკვანარსა? — შეუტია კაკალმა.

— მე ის გახლავარ, დილის ცვარი რომ მარგალიტად მეჩკურებოდა, მზე რომ თავის ოქროს სხივებს მახევედა, მშვენიერი ზატარა ქალის ბროლის თითები რომ ფოთლებს მისწორებდა, ლამაზ კოკორს მიძნოდა, მუნოსავდა; მთელი ღამე ბულებული რომ თავს დამტრიალებდა და ათასნაირ ჭანკებს სთხსავდა, ჩემი სიუვარულით აღტაცებული, — აი, მე ვინა ვარ.


— დიდი ვინმე ბრძანებულხარ, დიდი დედოფალი ეყოფილხარ ამ ქვეყნისა. მერე რა თავი მოგატყეს? ზომ არც შენ დაგინდო ადამიანის სკლამ: ბოლოს ჩვენთან გაგასწორა, დაგკრიფა, დაგსრისა, ჩვენს ტაფაში მოგხარბა და ისევე გექცევა, როგორც ჩვენ ჰაზა ჩემი ძველთა ძველი ხე იყო, ბევრ რამეს დამსწრე და მნახველი. მთელი სამი კვირის განმავლობაში სულ ასე ბურბურებდა: — ყოველივე ამოა: ერთ დღეს ეველა გასწორდება — ბუმბურაში მესა და ეძღური ბაღასიცო. იცი, ჩემო და: ჩვენ რომ აერხაური ავსტეხეთ, როცა დაკრეფა დაგვიპირეს, ის გვამძვინებდა: „ასე ყოფილა — ასე იქნება“. მაშ მენ რაღა თავი გატყეს მოსაწონებელი, როცა დღეს ერთ ტაფაში ვიწვით...

— შენ რაღას ბეჭილობდი, მშობილო, და ეური გამომიჩვენე — ჩემი ტოლი არა ხარო, — გაბედა აღუბაღმა...

— ეს, ეს... რა უფოთ მერე... — ზირია კაკალი, — დიად, მე, როგორც უფრო ხნიერს, მეტი მეთქმის თქვენზე. ჩემი ჰაზა მტონი ასა წლისაჲ იქნება... ვინც მეტს ცხოვრობს — მეტიც ეთქმის, ჩემო კარგო...

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა კაკალს; ამ დროს შემოვიდა დიასახლისის დარეცხილი ქილებითა და კოფით სულში. ემსწვინებო მოსდევდნენ ყივილ-ხივილთ. ამ სმაურობაზე ეველამ გაკმინდა სმა: რა არის — არ მოისურვოს და სასახლისმა ჩვენი თავის მოხდაო.

მ. გარიყული.





მახეში გაგმული ჩიტი.





ბაგუშეებისთვის სათამაშოდ შედგენილი

სიტყვები აკაკისა




Allegro non troppo.

ბაგუშეები:

შუსიკა ვახილ ს. თამარაშვილისა.



ჩიტი:



ბავშვები:

ვერ შეგელევით, ძალხაზო,
 აკაცდნით ეოველს კასაჭირს:
 სულ ძაქრით ჩაგიტკებარუნებთ
 მავ ზაწაწინა ევლს და ზირს.

ჩიტი: რად მინდა თქვენი შაქარი?
არ მიუვარს, ჩემთვის მწარეა.
მინდორში ვიჭერ ბუხ-ბეჭლეებს,
სხვაც ბევრი საკენკარია.

ბავშვები: ტრიალს მინდორში, საწყალო,
გაკეინავს ცივი ზამთარი,
და აქ კი ოქროს გალია
ძენთვის ეხლავე მზად არი.

ჩიტი: ნუ შიშობთ! გადაფორინდები
საზამთროდ თბილსა მხარესა,
ტყეობაში კი სამოთხეც
არ მინდა გულ-მწუხარესა!

ბავშვები: ას, რომ იცოდე, ჩიტუნავ,
რა რიგად შევიუვარებდით!
არ მოგაწყენდით, ღმერთმანი,
ნიაფს არ მოგაკარებდით.

ჩიტი: ეს, მეგობრებო, მეც მჯერა,
გიუვართ, უეჭველია;
მაგრამ რა ჟენა, რომ ტყვედ ეოუნა
მტანჯავს და მეტად ძნელია.


ბავშვები: მამ, რადგანაც აღარ რჩები
 ღმერთმა მოგიმართოს სული;
 გაფრინდი, გადაიარე
 ჭიკჭიკითა მთა და ველი.

შენიშვნა: ბავშვები აკეთებენ წრეს, შუაში ჰყავთ ჩიტი. სიმღერის დროს გარს უვლიან ჩიტსა; მხოლოდ როდესაც ჩიტი, პასუხს აძლევს, სუყველანი ჩერდებიან და ყურს უგდებენ. ბოლო სიტყვებზე ჩიტს უშვებენ და ისიც მიმოფრენს.



რ ე ბ უ ს ი.

პატარა ქალის
სახელი



ი
ყ

ბორცვი
ანუ?



ა
ს



მე-16 №-ში მოთავსებულ გამოცანის და რეზუსის აღსნა:

გამოცანის: კახეთი. რეზუსის: — ბურთი სათამაშოა.



იძახე

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

„ნაკადულო“-ს რედაქციაში

დ.



წერა-კეთების საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იეიდება
შემდეგი წიგნები:

- 1) **ბომის თავგადასავალი**, — თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ.
გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) **რას გვიამბობს ოთახი**, — თხზ. ავენარიუსისა, თარგმ.
გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი**, — ფასი . . . 1 მ. 20 კ.
- 4) **სკრუჯი და მარლერი**, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ
დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . 25 კ.
- 5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** პ. ქ. ან-
დერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა
და რ. კილინგისა, ფასი 30 კ.
- 6) **ბავშვობა და სიყრმე**, — მოთხრობა ლევ. ტოლსტო-
ისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) **ორი მხატვარი**, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . 15 კ.
- 8) **სამშობლო ბუნების სარკე**, დასურათებული საყმა-
წვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი . 30 კ.
- 9) **შობა**, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნა-
კაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი**,
ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ.
მაჭავარიანისა, ფასი 5 კ.
- 11) **დათო**, — ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი,
თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) **მოთხრობები**, — ლაგერლევისა და სხვა უცხო მწერ-
ლებისა 5 კ.
- 13) **იგავ-არაკნი**, — 125 დასურათებული, პატარა მო-
თხრობა, ავტორის სურათით, ალ. შირიანაშვილი-
სა, ფასი 75 კ.
- 14) **ბიძია თომას ქოხი**, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ-
თა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და
ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა . 1 მ. 25 კ.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

◆ წელიწადი მათი ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიუცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საუკრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მტრქვე-
ველი მთები“ (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნა-
ხევარ წლით—**3** მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანათვის
24 წიგნი—**3** მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

სახლვარ გარედ: ერთი წლით **7** მ. ნახევარი წლით **4** მ.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“
არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრე-
სის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვი-
ლის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накаду-
ли“, Головинский пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუ-
ჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-
ების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში — ისიდორე
კეცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავარიშვილთან.
სამტრედიასში — ელ. ნაცვალაძესთან. — შოთში — თეოფილე
კანდელაკთან. ბათუმში — ენ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ
ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურ-
გეთში — ლანჩხუთში — ლეო იმნაძესთან. თელავში — ვასო
პაატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარამაძესთან.
ბაქოში — ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივა-
ნე ელიაშვილთან. გორში — ნინო ლომოურთან და ქეთევან
ჯავახიშვილთან. სოხუმში — ენ. მარიამ ანჩაბაძესთან. კიათუ-
რაში — ივანე გომელაურთან. ვანჯაში — ბ. ამბოქაძესთან. ერე-
ვანში — კ. ოდიშარიასთან. სიღნაღში — ნ. ახმეტელაშვილთან.
ყარსში — ივ. საათაშვილთან. აღდესანდროპოლში — ს. შატ-
ბერაშვილთან. ნახიჩევანში — სამსონ მარჯანიშვილთან. ხონში
— მ. ი. ჭავჭავაძესთან. რაჭაში. — მასწავლებ. ილია გოგიასთან

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი